ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6385924

ნომერი: AR1956711

თარიღი : 23.03.2023

გაცემის თარიღი : 28.03.2023

გაცნობის თარიღი : 28.03.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 , (ნაკვეთი N40/218);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხვიჩა წკეპლაძე პ/ნ 21001004203
- თერჯოლა ს. ეწერი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:
იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე, საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი _
წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ვერ დგინდება არსებული შენობა-ნაგებობის (ისევე როგორც მასზე განთავსებული სარეკლამო კონსტრუქციის) კანონიერების საკითხი, რომელზედაც ითხოვთ საპროექტო სარეკლამო აბრის შეთანხმებას. გაითვალისწინეთ, რომ უკანონო მშენებლობის შემდგომ განვითარებაზე სამსახური ნებართვას ვერ გასცემს, იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოთ მშენებლობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი: მშენებლობის ნებართვა, შესაბამისი აქტები ან ლეგალიზების აქტი, კანონიერების დამადასტურებელ სხვა დოკუმენტებთან ერთად.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის მიერ მოცემულ მიწის ნაკვეთზე წარმოებული უნებართვო მშენებლობის გამო გაცემულია N000772 მითითება, შესაბამისად წარმოსადგენია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დადგენილება სამართალდარღვევაზე და შესაბამისი ჯარიმის ქვითარი; ან წარმოდგენილი იქნას შესაბამისი აქტი სამშენებლო სამართალდარღვევაზე საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

მხოლოდ ზემოაღნიშნულის წარმოდგენის შემდგომ იქნება შესაძლებელი საკითხზე მსჯელობა, რა დროსაც ასევე გასათვალისწინებელია შემდეგი სახის ხარვეზები:
-არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ..ფოტოსურათების pdf ფაილი : დამატებით წარმოსადგენია სეზონის შესაბამისი უახლესი სიტუაციის ფოტომასალა, საპროექტო შენობის / ფასადის შორი და ახლო ხედებით.
-ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრების მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. იგი საკმაოდ გადატვირთული სახის მატარებელია და ჭრელი, სასურველია უფრო სადა, დახვეწილი სახით მისი შემუშავება, საპროექტო დავალებით განსაზღვრული აბრის გაბარიტების შემცირება, ასევე აბრაზე მხოლოდ ძირითადი მანიშნებელი და არა გადატვირთული ხასიათის სიმბოლოების განთავსება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია ახალი ფოტომონაჟი მასალისა და გაბარიტული ზომების მითითებით.
ვინაიდან ამ ეტაპზე სამსახური საკითხს სრულად ვერ განიხილავს და სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს, შესაბამისი ინფორმაციის დაზუსტებისა და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ, საკითხის ხელახლა განხილვისას, მოთხოვნილი სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობისა და ახალი გარემოებების გათვალისწინებით გამოვლენილი ხარვეზების შესახებ შესაბამისი ინფორმაცია გეცნობებათ დამატებით.
აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge